ხელშეკრულება №01-21/34

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დაბა ჩაქვი **29 მაისი 2018წ.**

ერთის სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის **„სოფელ ჩაქვის #1 საჯარო სკოლა“** (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ტარიელ ქათამაძის** სახით და მეორეს მხრივ, შპს **„ტექნო ბუმი“** (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **მ/პ ემზარ ქოქოლაძის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია აჭარის ა/რ განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქვეპროგრამის „ კონკურსები და ოლიმპიადები“ (050502) სასკოლო კლუბების ინიციატივების დაფინანსების“ ხარჯიდან **საკერავი მანქანის** (CPV **დანაყოფის კოდი** 427 **0000)** შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ **№1**-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს **600 (ექვსასი ლარი 00 თეთრი) ლარს.**

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.5.დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს **2018 წლის 30 ივნისის** ჩათვლით შემსყიდველის მისამართზე (დაბა ჩაქვი, თამარ მეფის ქ #75)

4.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2018 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინაღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ „სოფელ ჩაქვის #1 საჯარო სკოლა“ საქართველო, დაბა ჩაქვი თამარ მეფის ქუჩა #75 სნ 246 993 945 ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი LBRTGE22 ანგარიშის # GE62LB0121171962106000 დირექტორი ტარიელ ქათამაძე ----------	მიმწოდებელი: შპს შპს „ტექნო ბუმი“ მისამართი: ბათუმი ერას ქ #90 ს/კ 205286199 საქარათველოს ბანკი ბანკის კოდიBAGAGE22 ანგარიშის #GE15BG0000000943187800 დირექტორის მ/პ ემზარ ქოქოლაძე ----------

საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთ. ფასი	საქონლის ფასი
საკერავი მანქანა ACME-2600	ცალი	1	600	600

600.00

სულ ღირებულება: ექვსასი ლარი 00 თეთრი

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზაქვის №1 საჯარო სკოლის დირექტორი: /ტარიელ ქათამაძე/

შპს „ტექნო ბუმის“ დირექტორის მ/პ : /ემზარ ქოქოლაძე/

მიღება-ჩაბარების აქტი

დაბა ჩაქვი 31 მაისი 2018 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ,, სოფელ ჩაქვის #1 საჯარო სკოლა,, (შემდგომში შემსყიდველი) სკოლის დირექტორი **ტარიელ ქათამაძე** და მეორეს მხრივ შპს „ტექნო ბუმი“ (შემდგომში მიმწოდებელი) , წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/პ ემზარ ქოქოლაძის სახით ვადგენთ წინამდებარე მიღება–ჩაბარების აქტს მასზედ, აჭარის ა/რ განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქვეპროგრამის „ კონკურსები და ოლიმპიადები“ (050502) სასკოლო კლუბების ინიციატივების დაფინანსების“ ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად თანახმად 2018 წლის 29 მაისის #01-21/34 ხელშეკრულებისა, მიმწოდებელმა შემსყიდველს მიაწოდა 600 ექვსასი ლარი 00 თეთრი) ღირებულების საქონელი.

მიღება–ჩაბარების აქტი შედგება ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარისაგან, რაზედაც ვაწერთ ხელს.

მიიღო: ჩააბარა

ტ. ქათამაძე ე. ქოქოლაძე

ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

დაბა ჩაქვი

29 მაისი 2018 წელი

ჩვენ, მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, ელექტრონული დამხმარე სახელმძღვანელოს შესყიდვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად, შპს „ტექნო ბუმის" დირექტორის ემზარ ქოქოლაძის მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

საჯარო სკოლის დირექტორი /ტარიელ ქათამაძე/

მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირი: /ანზორ რესულიძე/